გენერალური მინდობილობა

29 დეკემბერი, 2025წ.

წინამდებარე მინდობილობით, **შპს „ბათუმის აეროპორტი“** (საიდენტ. კოდი კოდი 245 426 882, იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი #220, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი), შემდგომში მოხსენიებული როგორც **„კომპანია“**, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,

წარმოდგენილი მისი რეგისტრირებული დირექტორის, მერთ ქანდიელის (თურქეთის მოქალაქე, თურქული პირადი # 10849077040, პასპორტის # U33713370, საქართველოს ბინადრობის მოწმობის პირადი ნომერი: 61091000619) მიერ,

ნიშნავს კომპანიის ნამდვილ და კანონიერ წარმომადგენლად (რწმუნებული) შემდეგ პირს:

თეა ზაქარაძე - დაბადების თარიღი: 13 სექტემბერი, 1975 წ., პირადი ნომერი: 61001004149, პასპორტის ნომერი: 20AA20883;

და ანიჭებს უფლებამოსილებას, კომპანიის ნებისმიერი და ყველა საჭიროებისათვის და კომპანიის სახელით, განახორციელოს შემდეგი:

1. წარმოადგინოს კომპანია ყველა ოფიციალურ უწყებაში, კერძო და სახელმწიფო პირთან, მათ შორის (და არამხოლოდ): აწარმოოს მოლაპარაკება, აღასრულოს, წარადგინოს, ხელი მოაწეროს, მიიღოს ან უარი განაცხადოს ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც გაცემულ იქნება კომპანიის მიერ ან კომპანიისთვის ან რომელიც დაკავშირებული იქნება კომპანიის ინტერესებთან მის საქმიანობასთან მიმართებაში; განახორციელოს ოპერაციები/პროცედურები და აწარმოოს კომპანიის კორესპონდენცია ოფიციალურ სახელისუფლებო ორგანოებსა თუ პირებთან, ასევე კერძო დაწესებულებებთან; მოლაპარაკება აწარმოოს და განსაზღვროს ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა თუ მემორანდუმების პირობები და ხელი მოაწეროს მათ იმ პირობით, რომ კონტრაქტის ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს **600 000 (ექვსასი ათასი) აშშ დოლარს**; მათ შორის, ხელი მოაწეროს საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებელ ყველა სახის ხელშეკრულებას თუ მათ ცვლილებებს ან შეწყვეტას; განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ მოითხოვება და საჭიროა კომპანიისთვის და მისი სახელით განსახორციელებლად ზემოაღნიშნული ამოცანების მიზნებისათვის. ნებისმიერი კონტრაქტი, რომლის ღირებულება აღემატება ზემოთ მითითებულ თანხას, საჭიროებს წინამდებარე რწმუნებულებით დანიშნული რწმუნებულისა და რომელიმე შემდეგი პირის: **ბ-ნი ვეჰბი სერქან კაპტანის, ან ბ-ნი ფრანკ მერეიდეს, ან ბ-ნი კარიმ სლიმ ალი ბენ სალემის, ან ბ-ნი სირრი მეთე ერნას** ერთობლივ ხელმოწერას, ანდა ასეთი კონტრაქტი წინასწარ უნდა იქნას დადასტურებული აქ მითითებული პირებიდან ნებისმიერის მიერ, წინამდებარე მინდობილობით დანიშნული რწმუნებულის მიერ მის ხელმოწერამდე.

2. წარმოადგინოს კომპანია ბანკებში, მათ შორის (და არამხოლოდ): აწარმოოს მოლაპარაკება, აღასრულოს, წარადგინოს, ხელი მოაწეროს, მიიღოს ან უარი განაცხადოს ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც დაკავშირებული იქნება კომპანიის ინტერესებთან მის საქმიანობასთან მიმართებაში; მათ შორის, განახორციელოს საბანკო ოპერაციები/პროცედურები, გახსნას ანგარიშები შესაბამის ბანკებში და დახუროს გახსნილი ანგარიშები, განათავსოს ფულადი თანხები საბანკო ანგარიშებზე ან გამოიტანოს ფული ანგარიშებიდან, ხელი მოაწეროს ჩეკებს / ანგარიშებს, გახსნას აკრედიტივები და საკრედიტო ანგარიშები, მიიღოს საბანკო გარანტიის წერილები და შეასრულოს ყველა საბანკო ოპერაცია/პროცედურა; ხელი მოაწეროს ბანკებთან განხორციელებულ ელექტრონულ ოპერაციებს, გამოყოს/დანიშნოს კომპანიის თანამშრომლები და განსაზღვროს მათი უფლება-მოვალეობები ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული ოპერაციებისთვის, განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ მოითხოვება და საჭიროა კომპანიისთვის და მისი სახელით განსახორციელებლად ზემოაღნიშნული ამოცანებისათვის; თითოეული საბანკო ოპერაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს **600 000 (ექვსასი ათასი) აშშ დოლარს.** ნებისმიერი ტრანზაქცია, რომლის ღირებულება აღემატება მითითებულ თანხას, საჭიროებს წინამდებარე რწმუნებულებით დანიშნული რწმუნებულისა და რომელიმე შემდეგი პირის: **ბ-ნი ვეჰბი სერქან კაპტანის, ან ბ-ნი ფრანკ მერეიდეს, ან ბ-ნი კარიმ სლიმ ალი ბენ სალემის, ან ბ-ნი სირრი მეთე ერნას** ერთობლივ ხელმოწერას ანდა ასეთი ტრანზაქცია წინასწარ უნდა იქნას დადასტურებული აქ მითითებული პირებიდან ნებისმიერის მიერ, წინამდებარე მინდობილობით დანიშნული რწმუნებულის მიერ მის ხელმოწერამდე.

მხოლოდ საბანკო ტრანზაქციის დოკუმენტები (საგადახდო დავალება), ქალბატონი თეა ზაქარაძის მიერ ხელმოწერილი / დადასტურებული უნდა იყოს ბ-ნი ზვიად აიწურაძის (დაბადებული 1988 წლის 30 იანვარს, P/N 01005013067) მიერ დადასტურებასთან ერთად / ერთობლივად, რომელსაც ამ მინდობილობით ასევე ენიჭება უფლებამოსილება მხოლოდ საბანკო ტრანზაქციის დოკუმენტების (საგადახდო დავალება) დადასტურებისა, ქალბატონი თეა ზაქარაძის ხელმოწერასთან/ დადასტურებასთან ერთობლივად.

Mert Kandiyeli

ქალბატონ თეა ზაქარაძეს და ბ-ნ ზვიად აიწურაძეს ერთობლივად, შეუძლიათ დანიშნონ კომპანიის სხვა თანამშრომელიც, რომელიც ზვიად აიწურაძის ნაცვლად იქნება უფლებამოსილი, დაადასტუროს საბანკო ტრანზაქციის დოკუმენტები (საგადახდო დავალება) - (ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ თეა ზაქარაძესთან ერთობლივად).

ზემოთ მითითებული თანხობრივი შეზღუდვა არ ეხება: (i) იმ თანხებს, რომლებიც გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო გადასახადისა თუ სოციალური დაზღვევის დეკლარაციების ანდა სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალურად დაწესებული გადასახდელების სახით; (ii) კომპანიის სესხის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებულ თანხებს; (iii) იმ თანხებს, რომლებიც გადახდილ უნდა იქნეს გამსესხებლებთან დადებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად (როგორც ძირი, ასევე დარიცხული პროცენტის თანხა); (iv) საკონცესიო გადასახადებს და (v) კომპანიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ საოპერაციო დაზღვევის შენატანებს; (v) კომპანიის აქციონერებისათვის დივიდენდების განაწილებას.

3. მართოს კომპანია და განკარგოს მისი აქტივები, თანხები, ინვენტარი და სხვა მატერიალური და ინტელექტუალური ქონება და ადამიანური რესურსები, შეიძინოს საქონელი, მომსახურებები, სადაზღვევო პოლისები კომპანიის საქმიანობის / ინტერესების შესაბამისად; უზრუნველყოს კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე თანამშრომელთა სამსახურში მიღება თუ დათხოვნა, შრომითი ხელშეკრულებების ხელმოწერა, თანამშრომელთა თანამდებობისა და მათი თანამდებობრივი ინსტრუქციების/უფლება-მოვალეობების შეცვლა, თანამშრომელთა ხელფასების კორექტირება; კომპანიის სახელით მოახდინოს ამ უკანასკნელის კუთვნილი ინვენტარის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების/ტექნიკისა და მასალების გაყიდვა, ყიდვა, გაჩუქება, გადაცემა და მართვა / განკარგვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რაც გულისხმობს ასევე კომპანიის საკუთრებაში თუ სარგებლობაში (ქირავნობაში) არსებული ავტომანქანების მართვას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

4. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს კომპანია ყველა სახის და ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში, მედიაციაში; შეიტანოს სარჩელი, დაზუსტებული სარჩელი, შესაგებელი, კერძო საჩივარი, საჩივარი (მათ შორის სააპელაციო და საკასაციო), აღძრას შეგებებული სარჩელი, გააკეთოს განაცხადი/მიმართვა, გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, წარადგინოს შუამდგომლობები და განცხადებები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, კითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები, განჩინებები, წარადგინოს და ხელი მოაწეროს მორიგების აქტებს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და დაასრულოს საქმე მორიგებით, გაიხმოს სარჩელი, შეამციროს ან გაზარდოს სასარჩელო მოთხოვნა, დაასრულოს სასამართლოში არსებული საქმე მორიგებით და ხელი მოაწეროს აღნიშნული შეთანხმების ოქმს, უარი თქვას სარჩელებზე, უარი თქვას სასამართლოს განჩინების/ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, გადაიხადოს და დაიბრუნოს ბაჟი, აიღოს და აღსასრულებლად მიაქციოს სააღსრულებო ფურცელი, შეიტანოს განცხადებები სარჩელის აღძვრამდე ან/და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ; უზრუნველყოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (ყადაღა, აკრძალვა, შეზღუდვა და ა.შ.) აღსრულება/რეგისტრაცია სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერი სახის შესაბამის ორგანოში, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან და ა.შ.), გადაიხადოს მომსახურების საფასური და განახორციელოს რწმუნებულის ყველა სხვა საპროცესო/პროცედურული მოქმედება, რაც საჭიროა ზემოთ მოყვანილი ამოცანის/დავალების შესასრულებლად და წინამდებარე რწმუნებულებით გადაცემული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

5. წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე რწმუნებული უფლებამოსილია კომპანიისათვის და მისი სახელით განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რაც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე მინდობილობით, მაგრამ საჭიროა ზემოთ მითითებული მიზნებისათვის და კომპანიის ხელმძღვანელობითი წარმომადგენლობითი ფუნქციების ნებისმიერი ამოცანის შესრულებისათვის.

6. რწმუნებულისა და მის მიერ უფლებამოსილ ქვემოთ მითითებულ პირთა მიერ უფლება-მოვალეობები შესრულებულ და განხორციელებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერად, კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე და მათი მაქსიმალური დაცვით, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

საჭიროების შემთხვევაში, რწმუნებულს ენიჭება უფლებამოსილება, წინამდებარე რწმუნებულებით მისთვის მინიჭებული უფლებების ნაწილი გადასცეს კომპანიის შესაბამის თანამშრომლებს ანდა შპს „ტავ ურბან საქართველოს“ (საიდ. კოდი 206 203 491) ან შპს “ტავ ბათუმი ოფერეიშენს” (საიდ. კოდი 206 285 848) თანამშრომლებს ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად; ზემოთ მითითებული თანხობრივი ლიმიტები/შეზღუდვები ძალაშია წინამდებარე პუნქტში მითითებული უფლებების გადაცემის შემთხვევაშიც:

ეს რწმუნებულება ძალაშია მისი გაცემის დღიდან და მოქმედია 2027 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობის გაცემამდე ნებისმიერ სხვა პირზე გაცემული მინდობილობა კარგავს ძალას ამ მინდობილობის ამოქმედების დღიდან.

Mert Candiyeli

მერთ ქანდიელი
შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორი

GENERAL POWER OF ATTORNEY

December 29, 2025

With this Power of Attorney, which has been issued by **"Batumi Airport" LLC** (ID # 245 426 882), hereinafter "the Company" (established and existing under the laws of Georgia with its registered and actual office at the address: Airport Highway #220, Batumi/Georgia, Batumi International Airport),

represented by its registered director Mr. **MERT KANDIYELI** – born on 21th January 1972, citizen of Turkiye, Turkish Personal # 10849077040, passport # U33713370; Georgian residence card personal # 61091000619;

The Company hereby appoints the following person:

TEA ZAKARADZE – born on 13th September, 1975, P/N 61001004149, passport number 20AA20883;

(as the Attorney) to be the true and lawful representative of the Company, authorizing her to act for any and all purposes of the Company and on behalf of it:

1. To represent the Company before all official authorities, private and state entities, including (but not limited to): negotiate, execute, deliver, sign, accept or reject any document issued by or for the Company or related to the interests of the Company in terms of its operation; to conduct the transactions/procedures and correspondence of the Company with the official authorities and private entities; negotiate and define terms of contracts, memorandums, sign them provided that the contract price may not exceed 600,000 USD; Among them, to sign all types of contracts which need to be registered in Public Registry, including changing amendments and terminations thereof; take all other actions that are not directly indicated in the present Power of Attorney but is required for the purposes of the aforementioned task for and on behalf of the Company; Any contracts exceeding this amount is subject to joint signatures of the Attorney appointed with this PoA along with the signature of **Mr. Vehbi Serkan KAPTAN or Mr. Franck MEREYDE or Mr. KARİM SLİM ALİ BEN SALEM or Mr. SIRRI METE ERNA**, or such contract shall be approved by any of these persons in advance, prior to signing by the Attorney appointed with this PoA.

2. To represent the Company in banks, including (but not limited to): negotiate, execute, deliver, sign, accept or reject any document related to the interests of the Company in terms of its operation, including bank procedures/transactions, to open accounts with the relevant banks, to close the accounts that have been opened, to withdraw and deposit cash, to sign checks, to open letters of credit and credit accounts, to receive bank letters of guarantee and to carry out all banking transactions/procedures; to sign the electronic transactions effected with the banks, to assign employees of the Company and define rights and responsibilities thereof in internet banking, take all other actions that are not directly indicated in the present Power of Attorney but is required for the purposes of the aforementioned task for and on behalf of the Company; Each transaction may not exceed **600,000 USD**. Any contracts exceeding this amount is subject to joint signatures of the Attorney appointed with this PoA along with the signature of **Mr. Vehbi Serkan KAPTAN or Mr. Franck MEREYDE or Mr. Franck MEREYDE or Mr. KARİM SLİM ALİ BEN SALEM or Mr. SIRRI METE ERNA,** or such transaction shall be approved by any of these persons in advance, prior to signing by the Attorney appointed with this PoA.

Bank transaction documents (payment orders) only, should be signed/approved by **Mrs. Tea Zakaradze** together with the signing / approval from Mr. Zviad Aitsuradze (born on 30th of January, 1988, P/N 01005013067), who is authorized with this PoA to make approvals of payment orders, only together with the final signature / approval of them by **Mrs. Tea Zakaradze.**

Mrs. Tea Zakaradze and Mr. Zviad Aitsuradze together, can assign also another employee of the Company, to make such approvals instead of Mr. Zviad Aitsuradze (naturally, only together with final signature / approval by **Mrs. Tea Zakaradze).**

The monetary limits stated above are not applicable (i) the amounts due in respect of tax and social security declarations or fees set officially by governmental entities, (ii) the fees related to the restructuring of the debt of the Company, (iii) the amounts due (principal & interest) under the loan agreements concluded with the Lenders, (iv) Concession fees and (v) operating insurance premiums contracted by the Company, v) Distribution of dividends to the shareholders of the Company.

3. Manage the Company and its assets, funds, inventory and other material and intellectual property and human resources, purchase goods and services and insurance policies in line with the interests/activities of the Company; to hire the personnel required by the Company and dismiss personnel when deemed necessary, to sign employment contracts; to change the titles and job descriptions of employees, to make adjustments to the salaries of the employees; to sell, to buy, to donate, transfer and dispose/manage the inventory, vehicles/transportation means and materials owned by the Company in the name of the Company and on its behalf both inside the country and abroad, including driving the cars owned or rented by the Company within Georgia and abroad.

Mert Kandiyeli

4. The Attorney shall be empowered to represent the Company in the courts of all types and instances, arbitrations, mediations; file a complaint, specified claim, response, private complaint, claim (this including the appeal and cassation claims), file a counter claim, make applications/addresses, request any kind of documentation, present motions and representations, receive decisions or other types of documents, provide verbal and written explanations, give questions to witnesses, experts, appeal decisions, rulings, present and sign acts of understanding at any stage of case review and finalize the same with mutual agreement, revoke a claim, decrease or increase the claim requests, finalize the court case with an amicable settlement and sign the protocol of settlement, refuse complaints, refuse to appeal a court ruling/decision, pay official court fees or receive its amounts back, receive execution writs and make them get executed, make applications before filing complaints or/and about provision of evidences; ensure execution/registration of the court decisions (sequestration, prohibition, restriction, etc.) aiming at satisfying the complaint in any relevant body/entity, including: National Agency of Public Registry, LEPL Ministry of Internal Affairs Service Agency, National Bureau of Execution, with a private executor, etc., pay the service fees and conduct all the other procedural actions of an attorney, required for the aforementioned task and exercising the authorities provided herein.

5. Based on the present Power of Attorney, the Attorney is authorized to perform all other actions that are not directly provided by the present Power of Attorney but are required for the purposes of the aforementioned tasks and for any managerial and representative functions for and on behalf of the Company.

6. Rights and responsibilities of the Attorney, as well as the assignees thereof as indicated below, shall be exercised in good faith, for the best interests of the Company and in full compliance with the requirements of the legislation in effect.

   In case of necessity, Attorney have the right to assign some of their rights given to her under this Power of Attorney to the relevant employees of the Company or employees of "TAV Urban Georgia" LLC (ID 206 203 491) or "TAV Batumi Operations" LLC (ID 206 285 848) for the avoidance of doubt; the monetary limits shall be also applicable for the assignment of any rights mentioned in this paragraph.

The present Power of Attorney enters into force upon signing and is valid including January 31, 2027.

Any Power of Attorney issued to any other persons before the issuance of this Power of Attorney shall lose its validity starting from the activation date of this Power of Attorney.

Mert Kandiyeli

Mert Kandiyeli

Batumi Airport LLC

Director

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის **ოცდაცხრა დეკემბერს,** მე, ნოტარიუსი **ლეილა ჭედია,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.17, ვამოწმებ ჩემს სანოტარო ბიუროში გამოცხადებული სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების თურქეთის მოქალაქის **მერთ ქანდიელის (დაბადებული: 21.01.1972წ. მისამართი: თურქეთის რესპუბლიკა, პირადი ნომერი: 10849077040 პასპორტი U33713370 გაცემული 22.05.2024წ. მოქმედების ვადა: 20.05.2034 წლამდე)** და მის მიერ მოწვეული თარჯიმნის **ლელა აბესლამიძის** (დაბადებული 30.11.1988წ., მცხოვრები ბათუმი, აჭარის წყლის შესახვევი #3 , პირადი # 61001051087) ხელმოწერებს მათ მიერ წარმოდგენილ **29.12.2025 წლის მინდობილობაზე** რომელიც შესრულებულია თარჯიმნის **ლელა აბესლამიძის** მონაწილეობით ქართულ-ინგლისურ ენაზე. თარჯიმანმა დაადასტურა ინგლისური ენის ცოდნა **ქ. ბათუმში შპს „სიმბათ“-თან არსებული უცხო ენების შემსწავლელი კურსების მიერ გაცემული სერტიფიკატით (ინგლისური ენა და ლიტერატურა) სრული კურსი #13/016 , გაცემული 25.07.2013წ.),** თარჯიმანი მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, რომელმაც ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ იძლევა სწორი თარგმანის გარანტიას და არ არსებობს მისი თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები.

წარმოდგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები შესრულებულია **მერთ ქანდიელის** და **ლელა აბესლამიძის** მიერ პირადად ჩემი თანდასწრებით, ხელმომწერი პირების ქმედუნარიანობა შემოწმებულია, რომელიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, ასევე დადგენილია მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. მე ნოტარიუსი ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერები მასზე ხელმომწერ პირებს ეკუთვნით და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, უფლებამოსილებას და შესაბამისად პასუხს არ ვაგებ მათზე.

დამოწმებულია ორი ხელმოწერა ოთხ გვერდზე ხუთ ეგზემპლარად და შესაბამისად ორმოცი ხელმოწერისათვის გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: 193.8 (ას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, მათ შორის: 160 (ას სამოცი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ) 31.3 მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოხსენებული დადგენილების 39-ე მუხლისა და დღგ - 28.8 (ოცდარვა ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნოტარიუსი _____ ლ. ჭედია

Georgia

Notary act

On the 29th day of December, two thousand and twenty-five, I, Notary Leila Chedia, at my notary office, located at the following address: Batumi, K. Gamsakhurdia St. N17, I certify the signatures of the adult and capable persons, Turkish citizen **Mert Kandiyeli** (born on: 21.01.1972. Address: Republic of Turkey, personal number: 10849077040, passport U33713370 issued on 22.05.2024. Validity period: until 20.05.2034) and the translator Lela Abeslamidze (born on: 30.11.1988, residing in Batumi, Adjara Water Lane #3, personal # 61001051087) invited by her, on the power of attorney dated 29.12.2025 submitted by them, which was executed in Georgian-English with the participation of the translator Lela Abeslamidze. The translator confirmed her knowledge of the English language with a certificate issued by the Foreign Language Courses of "Simbat" LLC in Batumi (English Language and Literature, Full Course #13/016, issued on: 25.07.2013). The translator was warned by me, a notary, about the circumstances excluding the translation, who confirmed to me that she guarantees a correct translation and that there are no circumstances excluding her translation. The signatures on the presented document were made by **Mert Kandiyeli and Lela Abeslamidze** in my personal presence, the capacity of the signatories has been verified, which I had no reason to doubt, and their identities have also been established by the presented identity documents. I, the notary, certify that the signatures belong to the signatories and do not confirm the authenticity and authority of the facts stated in the document and accordingly I am not responsible for them.

Two signatures have been certified in five copies on four pages and, accordingly, for forty signatures, a total of 193.8 (one hundred and eighty-three GEL and eighty tetri) GEL has been paid for notarial services, including: 160 (one hundred and sixty) GEL, in accordance with Article 31.3 of the Resolution of the Government of Georgia No. 507 of December 29, 2011 (On Approval of the Amounts of Fees for Performing Notarial Acts and the Amounts of Fees Established for the Notary Chamber of Georgia, the Procedure for Their Payment and the Terms of Service), 5 (five) GEL - the fee for registering a notarial act in the electronic notarial register, in accordance with Article 39 of the aforementioned Resolution and VAT - 28.8 (twenty-eight GEL and eighty tetri) GEL, in accordance with Article 166 of the Tax Code of Georgia.

Notary_____ L. Chedia

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N251775986
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.12.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლეილა ჭედია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ბათუმი,კ.გამსახურდიას ქ.17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(0 422) 27-38-80
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	89861410301625



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18